

„დამტკიცებ“

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების
აკადემიის რექტორი



„27“ აპრილი 2022 წ

„შეთანხმებულია“

შპს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება:
- საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახურის უფროსი

„ “ 2022 წ

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საგანგებო მართვის გეგმა

შემუშავებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საგანგებო შტაბის წევრების მიერ და
დამტკიცებულია: აკადემიის რექტორის სოფიო მაჭარაშვილის მიერ, ქ. თბილისი 2022 წლის „27“ აპრილის № 2/74
ბრძანებით (იხ. დანართი 1), საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილებით
დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად.

ცვლილება შესულია:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის N2/81 ბრძანებით (24/05/2023)

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის N2/214 ბრძანებით (27/11/2023)

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის N2/100 ბრძანებით (10/07/2025)

საგანგებო მართვის გეგმა

I თავი

შესავალი

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საგანგებო მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საქმიანობის საფუძველს. იგი, ამავდროულად, არის „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტი და უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე, პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, მოსამსახურეების, მოსახლეობის, მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას.

1.1 სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

ორგანიზაცია მოქმედებს დანართი N2-ში წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამავე დროს, იგი უფლებას იტოვებს, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1.2 გეგმის მიზანი

გეგმის მიზანია:

- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის თანამშრომელთა და სტუდენტთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა;
- ორგანიზაციის კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ორგანიზაციის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა;
- მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე ორგანიზაციის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა;
- შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.

1.3 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის განთავსების ტერიტორიის, შენობის აღწერა და ზოგადი მონაცემები.

1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია:

- ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208 - სოფიო მაჭარაშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორი ტელ: 593 303 211;
- ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. 28 - ანზორ მაჭარაშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის დამფუძნებელი ტელ: 577551329;
- ქ. თბილისი, გურამ ქუთათელაძის I, გასასვლელი N10 - ირაკლი ლალიძე - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, ტელ 593807788;
- ქ. საჩხერე, ივ. გომართელის ქ. 50ა,52 - ილია იაკობაშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების რექტორის მოადგილე ტელ: 598170271

1.3.2. ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის რაოდენობა:

- ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი - 26
- პროფესიული განათლების მასწავლებელი - 138
- პროფესიული სტუდენტი - 500

1.3.3. ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე განთავსებული შენობების ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: 1059,82 კვ.მ., ხოლო მიწის ნაკვეთი 750 კვ.მ. ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე განთავსებული შენობების დანიშნულებაა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. კოლეჯის ტერიტორიაზე განთავსებულია ძირითადი კორპუსი და ერთი დამხმარე ნაგებობა:

ძირითადი კორპუსი - ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობა, წერონისის ქ. N208-ში არსებული, შენობა 4 სართულიანია სარდაფის გარეშე მართკუთხედის ფორმის. გაბარიტული ზომებით 16,6x18,0მ. შენობის მშენებლობა განხორციელდა XXI საუკუნის დასაწყისში. შენობის მზიდუნარიანობა გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სივრცული კარკასის შექმნით, რომელიც წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სვეტებისა და რიგელების ერთობლიობას. შენობის უკანა მხარეს საძირკვლის გაშიშვლებისას დგინდება, რომ გამოსაკვლევი შენობის ფუძე-გრუნტს წარმოადგენს ძირითადი ქანები. შენობის მზიდი კონსტრუქციების ფიზიკური მექანიკური მონაცემებია: საძირკვლები - მონოლიტური რკინაბეტონის წერტილოვანი ფუნდამენტი, საძირკვლის კოჭები - წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კოჭებს, რომლებიც ერთმანეთთან კრავს წერტილოვან საძირკვლებს. სვეტები - მონოლიტური რკინაბეტონის განივი კვეთის ზომებით 400X400 მმ. სართულშუა გადახურვა შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონით, ფილის სისქე 180 მმ.-ის ტოლია, სახურავი ბრტყელია და მისი მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ფილას, კიბეები - შესრულებულია მონოლიტური რკინაბეტონის მეშვეობით საფეხურებთან ერთად. კოლეჯის შენობაში არის წყლის გაყვანილობა და ელექტროენერგია.

კოლეჯის ძირითადი კორპუსი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, გააჩნია პირველადი დახმარების მედდის ოთახი, აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, ჰიდრანტით და მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით. შენობების აღწერის შედეგად შესაძლებელია გამოიკვეთოს ხანძრის სწრაფად გავრცელების საშიშროება.

მიმდებარე ტერიტორიის აღწერა: შენობას აქვს ეზო დაახლოებით 750 კვ.მ, საპარკინგე სივრცე და გამწვანების ზოლი. შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის და აღჭურვილია სახანძრო ინვენტარით.

1.4 ქ. თბილისი, წერონის ქ. 208-ს ლოკაციაზე საგანგებო შტაბი და მისი ფუნქციონალური მოვალეობები.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს.

საგანგებო შტაბის უფროსი არის რექტორი ხოლო, მისი მოადგილეები - საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევს რეაგირების ძალებსა და საშუალებებს, მუდმივად უკავშირდება შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ოპერატიულ მორიგეს და არსებული სიტუაციის შესახებ ამზადებს წერილობით მოხსენებებს.

საგანგებო შტაბი ახორციელებს:

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შიდაუწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებას;
- რეაგირების ძალებისათვის მითითებების მიწოდებას და მათ კოორდინირებას;
- ზემდგომი უწყების მიერ განსაზღვრული დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებას, შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავებასა და ადრესატებამდე მიწოდებას;
- სამოქმედო ამოცანების დასახვას და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებას.
- მხარდამჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას;
- მოკვლევებისა და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

ქ. თბილისი, წერონის ქ. 208-ს ლოკაციაზე საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

N	საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა, რომელთანაც შეთავსებულია საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	საგანგებო შტაბის წევრის ფუნქციის აღწერის დანართი
1	საგანგებო შტაბის უფროსი	რექტორი	დანართი № 3 პუნქტი №1
2	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი	დანართი № 3 პუნქტი №2
3	საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	დანართი № 3 პუნქტი №3
4	სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი	მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	დანართი № 3 პუნქტი №4

5	მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი	შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი	დანართი № 3 პუნქტი №5
6	სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი	პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი	დანართი № 3 პუნქტი №6
7	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი	დაცვის სპეციალისტი	დანართი № 3 პუნქტი №7

1.5 არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა.

ადრეული გაფრთხილების სისტემას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების და თანამშრომლების შეტყობინებას ელექტრო და ტექნიკური ზარის გამოყენებით, რომელიც კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის, ზარის ხანგძლივობა განგაშის შემთხვევაში იქნება უწყვეტად 5 წუთი. ამასთან, შტაბის წევრების შეტყობინება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით (საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა დანართი №4). აგრეთვე ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში აკადემიას გააჩნია ხმამაღლა მოლაპარაკე მოწყობილობა (რუპორი) და ხელის ზარი.

1.6. ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. მოცემულია დანართი N10 მიხედვით.

II თავი

ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერა.

საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული “2015-2018 წწ. საფრთხეების შეფასების ეროვნული დოკუმენტის” (ნოემბერი 2015) საფუძველზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/6

„სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის შესაბამისად;

2.1 ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა:

ქ. თბილისის სეისმური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-გეოლოგიური ზოგადი დახასიათების საფუძველზე არსებობს შემდეგი სახის საფრთხეები: ხანძარი, ძლიერი სეტყვა ქარიშხლით და წყალდიდობით, მიწისძვრა.

2.2. ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე რისკის შეფასების დრო: 03.04.2022

2.3 ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე რისკის შეფასების მეთოდოლოგია: სტატისტიკურალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის ხარისხობრივ შეფასებას. რისკის შემცირების ჯგუფის მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებული იქნა კოლეჯის განთავსების ტერიტორიაზე მომხდარი ბუნებრივი მოვლენები და შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა.

2.4. ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე რისკის შეფასების შედეგები:

რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან გამოვლინდა შემდეგი რისკები:

N	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის მახასიათებელი ქულა
1	ძლიერი წვიმა ქარიშხლით	4	2	N 1 - 8
2	ხანძარი	2	2	N 2 - 4
3	მიწისძვრა	1	1	N 3 - 1

რისკი N 1 აღწერა: მოსალოდნელ საფრთხეს წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში ძლიერი წვიმა ქარიშხალით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წყალმოვარდნა, შენობის სარდაფის და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვა, შენობის ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების მოგლეჯა, ფანჯრების და ვიტრაჟების ჩამსხვრევა, კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეების მოთხრა (ხის ტოტების მოტეხვა) და დააზიანოს ენერგო და გაზომომარაგების საკომუნიკაციო ხაზები.

რისკი N 2 აღწერა: შენობაში დაარსების დღიდან დღემდე ხანძარი არ დაფიქსირებულა. შენობას აქვს ხის სხეენი, რომელიც დამუშავებულია ხანძარსაწინამდეგო სპეციალური ხსნარით. თუმცა ხანძრის წარმოქმნა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მიზეზის გამო მაგალითად: ცეხლთან გაუფრთხილებელმა მოპყრობამ, ელექტრო გაყვანილობის და მოწყობილობების გაუმართაობამ, რის შედეგადაც მოხდება შენობის საკლასო ოთახების დაზიანება, ნგრევა, შეკიდული ჭერის ჩამოშლა, დაკვამლიანება, კომუნიკაციების მოშლა და კავშირგაბმულობის ქსელის დაზიანება.

რისკი N 3 აღწერა: მოსალოდნელ საფრთხეს წარმოადგენს მიწისძვრა, წლების მანძილზე ფიქსირდება სხვადასხვა სიმძლავრის მიწისძვრები, რომელსაც ნგრევა და ადამიანების დაშავება არ მოყვლია, მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს შენობის დაზიანება, ხანძრის წარმოქმნა, კომუნალური და კავშირგაბმულობის ქსელის დაზიანება.

2.5. ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208-ს ლოკაციაზე საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა: გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა ობიექტზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი N1 რისკის მიხედვით: ძლიერმა წვიმამ და ქარიშხალმა შესაძლებელია გამოიწვიოს წყალმოვარდნა, შენობის სარდაფის და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვა, შენობის ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების მოგლეჯა, ფანჯრების და ვიტრაჟების ჩამსხვრევა, კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეების მოთხრა (ხის ტოტების მოტეხვა), დააზიანოს ენერგო და გაზომომარაგების საკომუნიკაციო ხაზები.

სცენარი N2 რისკის მიხედვით: შენობაში ხანძარი შესაძლოა გავრცელდეს, როგორც მხოლოდ შენობის კონკრეტულ ნაწილში, ასევე მთლიანად შენობის მასშტაბით. შესაბამისად, შეიძლება მოხდეს გასასვლელელებსა და ცალკეულ ოთახებში კვამლის დაგროვება, რაც გამოიწვევს შენობაში მყოფი პირების ინტოქსიკაციას. მოსალოდნელია ცალკეულმა თანამშრომლებმა მიიღონ სხვასხვა ხარისხის დამწვრობა. მაღალმა ტემპერატურამ შესაძლოა გამოიწვიოს მზიდი კონსტრუქციის დაზიანება, რასაც შეიძლება მოჰყვეს შენობის ცალკეული ელემენტების ნგრევა და გასასვლელელების

(მათ შორის საევაკუაციო) ჩახერგვა. ასევე შესაძლოა ელექტრო-სისტემის დაზიანება, საფრთხე შეექმნას ლაბორატორიას და შესაძლებელია ადამიანთა დაზავება.

სცენარი N3 რისკის მიხედვით: მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს ობიექტზე არსებული შენობანაგებობების ნგრევა, კომუნალურ, ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოსვლა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლა. დიდი მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლებელია პერსონალის დაღუპვა და ხანძარიც.

III თავი

ქ. თბილისი, წერონის ქ. 208-ს ლოკაციაზე გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება. საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

3.1 ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია:

3.1.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 1 რისკის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით:

- ძლიერი წვიმა ქარიშხალის დროს მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება დახვეწა;
- პერიოდულად ხორციელდება სახურავის ტექნიკური შემოწმება-შეკეთება;
- შენობაში თავის შეფარების უსაფრთხო ადგილის წინასწარი შესწავლა-შერჩევა;
- ძლიერი წვიმის დროს შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხო ადგილების განსაზღვრა;
- ეზოს ტერიტორიაზე გამხმარი ხეების ან ტოტების მოჭრა;
- კარ-ფანჯრისა და ქაღალუების მდგრადობის უზრუნველყოფა;
- სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების შეძენა-დაკომპლექტება; - შენობაზე განთავსებული აბრების ან ბანერების გამაგრება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი 4.1)

3.1.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 2 რისკის მიხედვით:

ხანძარი:

- ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/ დახვეწა;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი;
- შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები;
- შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცხელი ხაზის 112-ის ნომერი;
- ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები;
- თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქციის ჩატარების გზით;
- შენობაში მიმდინარეობს უწყვეტი ვიდეო მონიტორინგი;
- ელექტრო-წერტილების, ელექტროკარადების, ელექტრო-სადენების, ელექტრო ტექნიკის პერიოდული მონიტორინგი და გადამოწმება;
- სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების შეძენა-დაკომპლექტება;
- ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა (ცეცხლსაქრობის) და სისტემების (სახანძრო სიგნალიზაციისა და მაუწყებლობის სისტემის, სახანძრო ავზის) გადამოწმება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N4.2)

3.1.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 3 რისკის მიხედვით:

მიწისძვრა:

- მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე განისაზღვრა უსაფრთხო ადგილები;
- შენობის კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება - შემოწმება;
- შენობის გარე ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების მყარად დამაგრება;
- კედელზე დაფიქსირებული თაროების გამაგრება და კარადების იატაკზე მყარად განთავსება;
- დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი ფიქსაცია;
- სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების შეძენა-დაკომპლექტება;
- მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხის შემქმნელი გამხმარი ხეების და ხის ტოტების მოჭრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი 4.3)

3.2 ფაზა II: მზადყოფნა

საგანგებო შტაბი იხილავს პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათანადო სამოქმედო და დროებითი თავშესაფრისათვის უსაფრთხო ადგილებს, განაახლებს პერსონალის საევაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს.

მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

3.2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N 1 სცენარის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით:

- თანამშრომლებში ცნობიერების ასამაღლებლად ტრენინგების და სწავლებების ჩატარება ძლიერი წვიმა ქარიშხალთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
- შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
- გარე ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების მდგრადობის გადამოწმება;
- ძლიერი წვიმა ქარიშხალისგან დასაცავად შენობაში უსაფრთხო ადგილების და მარშრუტების მზადყოფნაში მოყვანა (ევაკუაციის მარშრუტების ჩახერგილების თავიდან აცილების მიზნით);
- სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების გამოყენების ვარჯიშის ჩატარება;
- ძლიერი წვიმა ქარიშხალის შედეგების თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების და სამუშაოების ჩატარება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 5.1-ში.)

3.2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N 2 სცენარის მიხედვით:

ხანძარი:

- შტაბის წევრებისათვის საევაკუაციო ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება;
- შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
- სახანძრო-სამაშველო ჯგუფისათვის ხანძართან ბრძოლის და პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება;
- სახანძრო სისტემების ტექნიკური გამართულობის შემოწმება;
- ხანძრის ქრობისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების პრაქტიკული გამოყენების ვარჯიშის ჩატარება;
- სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების გამოყენების ვარჯიშის ჩატარება (დამწვრობა);
- სახანძრო სფეროში პერსონალისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად ხანძრის ქრობის იმიტირებული კომპლექსური სწავლებების ჩატარება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 5.2-ში.)

3.2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N 3 სცენარის მიხედვით:

მიწისძვრა:

- თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების და სწავლებების პერიოდული ჩატარება მიწისძვრასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
 - საევაკუაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული იმიტირებული სწავლება;
 - შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
 - საევაკუაციო გეგმების შესაბამისობის გადახედვა;
 - სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება;
 - შენობაში შერჩეული უსაფრთხო ადგილების და მარშრუტების გადამოწმება (ჩახერგილების თავიდან აცილების მიზნით);
 - სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების გამოყენების ვარჯიშის ჩატარება;
- (დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 5.3-ში.)

3.3 ფაზა III. რეაგირება:

შენობიდან ევაკუაციის გეგმა - წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (დანართი N17). ორგანიზაციაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციისათვის რეაგირების ჯგუფები (დანართი N19).

3.3.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით:

საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყოვნებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - 112. უნდა მოხდეს შეტყობინების სისტემების მოქმედებაში მოყვანა. შემდეგ აცნობებს ფაქტის შესახებ საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და შენობის დატბორვის შემთხვევაში კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების და მატერიალი ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით - მოხდება პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხო ევაკუაცია საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით ზედა სართულებზე ასვლა ან საჭიროების შემთხვევაში ევაკუაცია უსაფრთხო ადგილზე.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების, გაზომომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
 - ჩახერგილი საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს ევაკუაციის პროცესი;
 - შენობიდან წინასწარ განსაზღვრული ევაკუაციის მარშრუტებით ადამიანების გაყვანა უსაფრთხო ადგილამდე;
 - სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისთანავე მიაწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
 - დაშავებულებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.
- (დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 6.1)

3.3.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N 2 სცენარის მიხედვით:

ხანძარი:

ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს შეტყობინების და საფრთხის მაუწყებლობის სისტემების მოქმედებაში მოყვანა. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყოვნებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - 112, შემდეგ აცნობებს საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების და მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით - მოხდება პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხო ევაკუაცია საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში. ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების, გაზომომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს ევაკუაციის პროცესი;
- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისთანავე მიაწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
- სათანადოდ გადამზადებული პერსონალის მიერ ხანძრის ლიკვიდაცია არსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მოხმარებით;
- დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 6.2)

3.3.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა **N 3** სცენარის მიხედვით:

მიწისძვრა:

შენობის შიგნით ადამიანები განლაგდებიან უსაფრთხო ადგილებში. მიწისძვრის შემთხვევაში საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყონებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მრთცის სამსახურს - **112**. შემდეგ აცნობებს საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების და მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით.

ასევე განხორციელდეს:

- პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხო ევაკუაცია წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში, საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით;
- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების, გაზომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- პარალელურად მოხდება ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს საევაკუაციო პროცესი;
- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისთანავე მიაწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
- დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; □ განხორციელდება სახიფათო ზონების იზოლირება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 6.3)

3.4 ფაზა IV. აღდგენა:

3.4.1 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა **N 1** სცენარის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით: მაშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობაში ოთახების დალაგება-დასუფთავება, შენობიდან დაზიანებული მატერიალური ფასეულობების გამოტანა და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დაზიანებული ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა/შემოწმება შესაბამის კომუნალურ სამსახურებთან ერთად;
- შენობის და მისი სახურავის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
- დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 7.1)

3.4.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა **N 2** სცენარის მიხედვით:

ხანძარი: ხანძრის მაშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობაში ოთახების დალაგება-დასუფთავება, შენობიდან დაზიანებული მატერიალური ფასეულობების გამოტანა და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დაზიანებული ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა/შემოწმება შესაბამის კომუნალურ სამსახურებთან ერთად;
- შენობის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
- დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება.

(ღონისძიებების დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 7.2-ში)

3.4.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა № 3 სცენარის მიხედვით:

მიწისძვრა: მიწისძვრის შედეგების მაშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობაში ოთახების დალაგება-დასუფთავება, შენობიდან დაზიანებული მატერიალური ფასეულობების გამოტანა და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დაზიანებული ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენაშემოწმება შესაბამის კომუნალურ სამსახურებთან ერთად;
- შენობის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
- დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 7.3)

IV თავი

ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. 28-ს ლოკაციაზე საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერა.

4.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია: - შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ნუგზარ ციხელაშვილი

4.2 თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის რაოდენობა:

- ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი - 4
- პროფესიული განათლების მასწავლებელი - 70
- პროფესიული სტუდენტი - 220

4.3 შენობების ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის 28, ჩოდრიშვილის ქ. N2-ში არსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: 591.57 კვ.მ., ხოლო მიწის ნაკვეთი 270 კვ.მ. განთავსებული შენობის დანიშნულებაა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. კოლეჯის ტერიტორიაზე განთავსებულია ძირითადი კორპუსი და ერთი დამხმარე ნაგებობა:

კორპუსი - ქ.თბილისში, ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის 28, ჩოდრიშვილის ქ N2-ში არსებული

შენობა 3 სართულიანია სარდაფის გარეშე მართკუთხედის ფორმისა შენობის თაავდაპირველი მშენებლობა განხორციელდა გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოს. XXI საუკუნის დასაწყისში განხორციელდა არსებული შენობის რეკონსტრუქცია , შენობის ნაწილზე მესამე სართულის დაშენება. შენობის მზიდი კონსტრუქციების ფიზიკური მექანიკური მონაცემებია: -სადირკვლები: მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანი ფუნდამენტები , სადირკვლის კოჭები: წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კოჭებს , რომლებიც ერთმანეთთან კრავს წერტილოვან სადირკვლებს. სვეტები: მონოლითური რკინაბეტონის განივი კვეთის ზომებით 400*400მმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონით , ფილის სისქე 180მმ-ის ტოლია. სახურავი ბრტყელია და მისი მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ფილა. კიბეები- შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის მეშვეობით საფეხურებთან ერთად. კოლეჯის შენობაში არის წყლის გაყვანილობა და ელექტროენერგია.

კორპუსი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, გააჩნია პირველადი დახმარების მედდის ოთახი, აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, ჰიდრანტით და მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით. შენობების აღწერის შედეგად შესაძლებელია გამოიკვეთოს ხანძრის სწრაფად გავრცელების საშიშროება.

მიმდებარე ტერიტორიის აღწერა: შენობას აქვს ეზო დაახლოებით 200 კვ.მ, საპარკინგე სივრცე და გამწვანების ზოლი. შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის და აღჭურვილია სახანძრო ინვენტარით.

4.4 საგანგებო შტაბი და მისი წევრების ფუნქციონალური მოვალეობები შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს.

რომლებიც დანიშნულია ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ და გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევენ რეაგირების ძალებსა და საშუალებებს, მუდმივად უკავშირდებიან შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოპერატიულ მორიგეს და არსებული სიტუაციის შესახებ ამზადებენ წერილობით მოხსენებებს. საგანგებო შტაბი ახორციელებს:

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შიდაუწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებას;
- რეაგირების ძალებისათვის მითითებების მიწოდებას და მათ კოორდინირებას;
- ზემდგომი უწყების მიერ განსაზღვრული დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებას, შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავებასა და ადრესატებამდე მიწოდებას;
- სამოქმედო ამოცანების დასახვას და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებას;
- მხარდამჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას;
- მოკვლევისა და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

N	საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა, რომელთანაც შეთავსებულია საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	საგანგებო შტაბის წევრის ფუნქციის აღწერის დანართი
1	საგანგებო შტაბის უფროსი - პასუხისმგებელი პირი	დამფუძნებელი (პროგრამის ხელმძღვანელი)	დანართი № 3.1 პუნქტი №1
2	ევაკუაციის საკითხებში პასუხისმგებელი პირი	სასწავლო პროცესის სპეციალისტი	დანართი № 3.1 პუნქტი №2
3	მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი და სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	დანართი № 3 პუნქტი №3
4	კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებში პასუხისმგებელი პირი	ბიბლიოთეკარი	დანართი № 3 პუნქტი №4
5	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი	დაცვის სპეციალისტი	დანართი № 3 პუნქტი №5

მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა:

ქ. თბილისის სეისმური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-ეკოლოგიური ზოგადი დახასიათების საფუძველზე არსებობს შემდეგი სახის საფრთხეები: ძლიერი წვიმა ქარიშხლით, ხანძარი, მიწისძვრა.

4.5. რისკის შეფასების დრო: 03.04.2022

4.6 რისკის შეფასების მეთოდოლოგია: სტატისტიკურ-ალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის ხარისხობრივ შეფასებას. რისკის შემცირების ჯგუფის მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებული იქნა კოლეჯის განთავსების ტერიტორიაზე მომხდარი ბუნებრივი მოვლენები და შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა.

4.7. რისკის შეფასების შედეგები:

რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან გამოვლინდა შემდეგი რისკები:

N	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის მახასიათებელი ქულა
1	ძლიერი წვიმა ქარიშხლით	4	2	N 1 - 8
2	ხანძარი	2	2	N 2 - 4
3	მიწისძვრა	1	1	N 3 - 1

რისკი **N 1** აღწერა: მოსალოდნელ საფრთხეს წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში ძლიერი წვიმა ქარიშხალით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წყალმოვარდნა, შენობის სარდაფის და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვა, შენობის ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების მოგლეჯა, ფანჯრების და ვიტრაჟების ჩამსხვრევა, კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეების მოთხრა (ხის ტოტების მოტეხვა) და დააზიანოს ენერგო და გაზომომარაგების საკომუნიკაციო ხაზები.

რისკი **N 2** აღწერა: შენობაში დაარსების დღიდან დღემდე ხანძარი არ დაფიქსირებულა. შენობას აქვს ხის სხვენი, რომელიც დამუშავებულია ხანძარსაწინამდებო სპეციალური ხსნარით. თუმცა ხანძრის წარმოქმნა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მიზეზის გამო მაგალითად: ცეხლთან გაუფრთხილებელმა მოპყრობამ, ელექტრო გაყვანილობის და მოწყობილობების გაუმართაობამ, რის შედეგადად მოხდება შენობის საკლასო ოთახების დაზიანება, ნგრევა, შეკიდული ჭერის ჩამოშლა, დაკვამლიანება, კომუნიკაციების მოშლა და კავშირგაბმულობის ქსელის დაზიანება.

რისკი **N 3** აღწერა: მოსალოდნელ საფრთხეს წარმოადგენს მიწისძვრა, წლების მანძილზე ფიქსირდება სხვადასხვა სიმძლავრის მიწისძვრები, რომელსაც ნგრევა და ადამიანების დაშავება არ მოყვლია, მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს შენობის დაზიანება, ხანძრის წარმოქმნა, კომუნალური და კავშირგაბმულობის ქსელის დაზიანება.

4.8. საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა: გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა ობიექტზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი **N1** რისკის მიხედვით: ძლიერმა წვიმამ და ქარიშხალმა შესაძლებელია გამოიწვიოს წყალმოვარდნა, შენობის სარდაფის და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვა, შენობის ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების მოგლეჯა, ფანჯრების და ვიტრაჟების ჩამსხვრევა, კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეების მოთხრა (ხის ტოტების მოტეხვა), დააზიანოს ენერგო და გაზომომარაგების საკომუნიკაციო ხაზები.

სცენარი **N2** რისკის მიხედვით: შენობაში ხანძარი შესაძლოა გავრცელდეს, როგორც მხოლოდ შენობის კონკრეტულ ნაწილში, ასევე მთლიანად შენობის მასშტაბით. შესაბამისად, შეიძლება მოხდეს გასასვლელებსა და ცალკეულ ოთახებში კვამლის დაგროვება, რაც გამოიწვევს შენობაში

მყოფი პირების ინტოქსიკაციას. მოსალოდნელია ცალკეულმა თანამშრომლებმა მიიღონ სხვასხვა ხარისხის დამწვრობა. მაღალმა ტემპერატურამ შესაძლოა გამოიწვიოს მზიდი კონსტრუქციის დაზიანება, რასაც შეიძლება მოჰყვეს შენობის ცალკეული ელემენტების ნგრევა და გასასვლელების (მათ შორის საევაკუაციო) ჩახერგვა. ასევე შესაძლოა ელექტრო-სისტემის დაზიანება, საფრთხე შეექმნას ლაბორატორიას და შესაძლებელია ადამიანთა დაშავება.

სცენარი **N3** რისკის მიხედვით: მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს ობიექტზე არსებული შენობანაგებობების ნგრევა, კომუნალურ, ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოსვლა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლა. დიდი მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლებელია პერსონალის დაღუპვა და ხანძარიც.

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და

გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

V თავი

ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია:

5.1 .1.გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 1 რისკის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით:

- ძლიერი წვიმა ქარიშხალის დროს მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება დახვეწა;
- პერიოდულად ხორციელდება სახურავის ტექნიკური შემოწმება-შეკეთება;
- შენობაში თავის შეფარების უსაფრთხო ადგილის წინასწარი შესწავლა-შერჩევა;
- ძლიერი წვიმის დროს შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხო ადგილების განსაზღვრა;
- ეზოს ტერიტორიაზე გამხმარი ხეების ან ტოტების მოჭრა;
- კარ-ფანჯრისა და ქალუხების მდგრადობის უზრუნველყოფა;
- სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების შეძენა-დაკომპლექტება; - შენობაზე განთავსებული აბრების ან ბანერების გამაგრება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი 8.1)

5.1.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 2 რისკის მიხედვით:

ხანძარი:

- ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/ დახვეწა;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი;
- შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები;
- შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცხელი ხაზის 112-ის ნომერი;
- ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები;
- თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით;
- შენობაში მიმდინარეობს უწყვეტი ვიდეო მონიტორინგი;
- ელექტრო-წერტილების, ელექტროკარადების, ელექტრო-სადენების, ელექტრო ტექნიკის პერიოდული მონიტორინგი და გადამოწმება;
- სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების შეძენა-დაკომპლექტება;
- ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა (ცეცხლსაქრობის) და სისტემების (სახანძრო სიგნალიზაციისა და მაუწყებლობის სისტემის, სახანძრო ავზის) გადამოწმება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N8.2)

5.1.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 3 რისკის მიხედვით:

მიწისძვრა:

- მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე განისაზღვრა უსაფრთხო ადგილები;
- შენობის კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება - შემოწმება;
- შენობის გარე ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების მყარად დამაგრება;
- კედელზე დაფიქსირებული თაროების გამაგრება და კარადების იატაკზე მყარად განთავსება;
- დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი ფიქსაცია;
- სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების ნაკრების შეძენა-დაკომპლექტება;
- მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხის შემქმნელი გამხმარი ხეების და ხის ტოტების მოჭრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი 8.3)

ფაზა II: მზადყოფნა

საგანგებო შტაბი იხილავს პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათანადო სამოქმედო და დროებითი თავშესაფრისათვის უსაფრთხო ადგილებს, განაახლებს პერსონალის საევაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს.

მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

5.2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N 1 სცენარის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით:

- თანამშრომლებში ცნობიერების ასამაღლებლად ტრენინგების და სწავლებების ჩატარება ძლიერი წვიმა ქარიშხალთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
- შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
- გარე ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების მდგრადობის გადამოწმება;
- ძლიერი წვიმა ქარიშხალისგან დასაცავად შენობაში უსაფრთხო ადგილის შერჩევა და მზადყოფნაში მოყვანა;
- შენობაში შერჩეული უსაფრთხო ადგილების და მარშრუტების გადამოწმება (ჩახერგილების თავიდან აცილების მიზნით);
- ძლიერი წვიმა ქარიშხალის შედეგების თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების და სამუშაოების ჩატარება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 9.1-ში.)

5.2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N 2 სცენარის მიხედვით:

ხანძარი:

- შტაბის წევრებისათვის საევაკუაციო ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება;
- შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
- სახანძრო-სამაშველო ჯგუფისათვის ხანძართან ბრძოლის და პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება;
- სახანძრო სისტემების ტექნიკური გამართულობის შემოწმება;
- ხანძრის ქრობისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების პრაქტიკული გამოყენების ვარჯიშის ჩატარება;
- სახანძრო სფეროში პერსონალისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად ხანძრის ქრობის იმიტირებული კომპლექსური სწავლებების ჩატარება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 9.2-ში.)

5.2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N 3 სცენარის მიხედვით:

მიწისძვრა:

- თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების და სწავლებების პერიოდული ჩატარება მიწისძვრასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
- საევაკუაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული იმიტირებული სწავლება;
- შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
- საევაკუაციო გეგმების შესაბამისობის გადახედვა;
- სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება;
- შენობაში შერჩეული უსაფრთხო ადგილების და მარშრუტების გადამოწმება (ჩახერგილების თავიდან აცილების მიზნით);

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 9.3-ში.)

ფაზა III. რეაგირება:

შენობიდან ევაკუაციის გეგმა - წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (დანართი N9). ორგანიზაციაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციისათვის რეაგირების ჯგუფები (დანართი N11).

5.3.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით:

საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყონებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - **112**. უნდა მოხდეს შეტყობინების სისტემების მოქმედებაში მოყვანა. შემდეგ აცნობებს ფაქტის შესახებ საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და შენობის დატბორვის შემთხვევაში კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების და მატერიალი ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით - მოხდება პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხო ევაკუაცია საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით ზედა სართულებზე ასვლა ან საჭიროების შემთხვევაში ევაკუაცია უსაფრთხო ადგილზე.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების, გაზომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- ჩახერგილი საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს ევაკუაციის პროცესი;
- შენობიდან წინასწარ განსაზღვრული ევაკუაციის მარშრუტებით ადამიანების გაყვანა უსაფრთხო ადგილამდე;
- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისთანავე მიაწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
- დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 10.1)

5.3.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა **N 2** სცენარის მიხედვით:

ხანძარი:

ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს შეტყობინების და საფრთხის მაუწყებლობის სისტემების მოქმედებაში მოყვანა. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყონებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - **112**, შემდეგ აცნობებს საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების და მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით - მოხდება პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხო ევაკუაცია საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების, გაზომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს ევაკუაციის პროცესი;
